



# Վ. Ղ. Ղ. Ղ. Ղ. Ղ. Ղ. Ղ

№ 8  
ՅՅՅՅՅՅ  
1954



საქართველოს სსრ-ის  
საბავშვო და სპორტული  
მუშაკთა პროფკავშირის  
კოორდინატორის პიონერის  
ბანაკში სპორტის სხვა  
სახეობადაა შორის დი-  
დი პოპულარობით სარ-  
გებლობს ქადრაკი. ბა-  
ნაკში ჩამოყალიბებუ-  
ლია ქადრაკის წრე-  
სურათზე. ნორჩი მო-  
ქადრაკეები გენადი რო-  
დონია და სვეტლანა  
ასტახოვა თამაშობენ  
ქადრაკს.

ფოტო ვ. ჩაბიანიას



## ნორჩ მოგზაურთა სიმღერა

მთაგორებზე მივიჩქარით გაბედული ნაბიჯებით  
უშიშარი მოლაშქრენი — გოგონები და ბიჭები.

სიმღერებით მოვეფინეთ ფართო ველებს ნისლიანებს  
ალისფერი ყელსახვევი დროშასავით გვიფრიალებს.

სადმე გზაზე უცაბედად ავდარი თუ დაგვეწია,  
კარავს გავეშლით და კოკონსაც გავაჩაღებთ ნაბერწკლიანს.

თუ დაგვეჩრდა, ჭიუხიდან დავეშვებით თოკებითაც,  
მუხლში ძალა შეგვემატა, მზე სახეზე მოგვეკიდა.

არ ვიღლებით ამ მშობლიურ მინდორ-ველზე სიარულით...  
მაღე სკოლას გავაცოცხლებთ მხიარული ჟრიამულით.

ოთარ ქვიპავე





# სუპროპელაგი \*

ნახ. ალ. ბანძელაძისა

თ ა ვ ი VII

## საუბარი საკუთარ თავთან

დღეს დილით ლეიტენანტმა მჭკრივის წინ გამოიყვანა და გენერლის მოტყუებისათვის რიგვარეშე დღიური მომცა. საღამოს საცხოვრებელი ბინის მორიგედ განმაწესეს. ეს არაფერია, პაიჭაძეს სულაც არ ეშინია დღიურში სიარულისა. ოღონდ სხვა არაფერი სასჯელი დამდონ და თუგინდ ყოველდღე ვიმორიგეებ.

სკოლის მორიგედ დღეს ლეიტენანტი ლოგინოვია. აი ესეც ბედი! რალა ისიც დღეს არის დღიურში! ერთი რამ მაკვირებს: სკოლაში დადგენილია—ოფიცერი მაშინ არის მორიგედ, როცა მისი ათეული სკოლის დღიურში იმყოფება. გუშინწინ არ იყო, რომ ჩვენი ათეული და ლეიტენანტიც დღიურში იყვნენ? დღეს ათეული დღიურში არ არის, მაშ, რატომ მორიგეობს ლეიტენანტი?

ჩაიბარე მორიგეობა და საცხოვრებელი ბინის შესავალში დავედი. ვღვავარ და აქეთ-იქით ვიციქირები. თან სულ იმას ვიმორიგებ, როგორ მოვახსენო საცხოვრებელ ბინაში შემოსულ სკოლის მორიგეს, ან სხვა რომელიმე უფროსს.

მკედარი საათის შემდეგ სუფოროველცხს საწოლები კარგად გავასწორებინე. ოთახი დავგავე და დავასუფთავე, ფანჯრები გამოვღე და ჰაერი გავწმინდე.

წრეობრივ-მასობრივი მუშაობის დროს საცხოვრებელ ბინაში ჩემს მეტი არავინ იყო. მორიგის მაგინდა კომკავშირის კომიტეტის ოთახში გამავალ კარებთან დგას. მაგიდასთან სკანზე ჩამოვჯექი. ოთახიდან ხმამალალი ლაპარაკი გავიგონე. ბიუროს სხდომა ტარდებოდა. სუფოროველმა სმირნოვმა რამდენჯერმე ჩემი გვარი ახსენა. ცნობის-

მოკვარეობამ დამძლია და ყური საკეტის ქუქრუტანას მივადე.

— თუმცა პაიჭაძე ჩემზე ნაწყენია,—ამბობდა სმირნოვი, — მაგრამ მე მაინც ჩემს კარგ მეგობრად ვთვლი. პაიჭაძე ცუდი ბიჭი როდია. არითმეტიკას კლასში მაგაზე კარგად არავინ სწავლობს. არც სხვა საგნებში ჩამოუვარდება ვინმეს. მხოლოდ სამწყობრო მზადებაში მოიკოტლებს. ხანდახან წესრიგსაც არღვევს, მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენი დახმარებით იგი გამოსწორდება და კარგი სუფოროველი დადგება.

— ამხანაგი სმირნოვი მართალს ამბობს,—თქვა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა არამ გრიგორიანმა,—პაიჭაძე კომკავშირელი არ არის, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ დავეხმაროთ მას. ლეიტენანტ ლოგინოვის ოცეულიდან პაიჭაძე პირველია, რომელმაც რიგვარეშე დღიური დაიწახსურა. თქვენ ბიუროს წევრები ხართ და დასამალი არაფერია. ლეიტენანტმა ლოგინოვმა დღეს მითხრა: ათი წელია საბჭოთა არმიის ვმსახურობ და ეს პირველი შემთხვევაა, არ მახსოვს, რომ სასჯელი მიმეღოსო. პაიჭაძემ, რასაკვირველია, არ იცის, რომ ლეიტენანტმა ეს სასჯელი მისი წყალობით დაიმსახურა. თუკი ოფიცერი პასუხს აგებს თავის აღსაზრდელზე, მაშ, გეკითხებით, რატომ ამხანაგმა პასუხი არ უნდა აგოს ამხანაგზე? ჰოდა, ამხანაგებო, ჩვენ მოვალენი ვართ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოვიჩინოთ პაიჭაძეზე...

ამ სიტყვებმა გული ისე ამიჩუყა, რომ კინაღამ ავტირდი. რა გაუგებარი და უმიღური ვყოფილვარ. მეგონა არავის ვახსოვდი, არავის ვეღარდებოდი, მაგრამ უყურე, როგორ ვცდებოდი. თურმე მეც მყოლია ამხანაგები და მერე რამდენი.

ამ ფიქრებში ვართულმა ცოტა დაგვიანებით შევამჩნიე ოთახში შემოსული ლეიტენანტი ლოგინოვი, მაგრამ ლეიტენანტის დანახვა და ჩემი

\* დასასრული. იხ. უკრნ. „პიონერი“ №166, 7.

ფეხზე წამოხტომა ერთი იყო. რაც ძალი და ღონე შეიძლება დაეძახებოდა:

— სმენაა!

მწყობრი ნაბიჯით გავიმართე ლეიტენანტისაკენ. მისგან სამი ნაბიჯის მანძილზე დავდექი და მოვახსენე:

— ამხანაგო სკოლის მორიგევე, ჩემი მორიგეობის დროს არავითარ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. მოვახსენებთ სუვოროველი პაიჭაძე.

— თავისუფლად! — მითხრა ლეიტენანტმა.

— თავისუფლად! — გავიმეორე ძეც და კინაღამ ენაზე ვიკბინე, რადგან გამახსენდა, რომ ოთახში მე და ლეიტენანტის მეტი არავინ იყო.

შინაგანაწესის თანახმად, ასეთი შემთხვევის დროს სულაც არ არის საჭირო მორიგე მოხსენებისას გასცეს ბრძანება სმენა. არ ვიცი, ლეიტენანტი ვერ მიხვდა ამას, თუ მიხვდა და არ შეიმჩნია, თქმით კი არააფერი უთქვამს. თუმცა რატომღაც ოდნავ გავღიმა.

ლეიტენანტმა საცხოვრებელი ოთახები დაათვალიერა, მე მას უკან დავდედვი. წასვლის წინ ლეიტენანტმა კიდევ ერთხელ გამიღიმა და მითხრა:

— ყოჩაღ, სუვოროველი პაიჭაძე, კარგად მორიგეობ, ოღონდ შინაგანაწესს უკეთ უნდა გავცნო.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მიხაროდა ჯერ ერთი ის, რომ ასე კარგად მოვახსენე და უფრო მეტად ის, რომ ლეიტენანტმა მოიწონა ჩემი მორიგეობა და მითხრა, ყოჩაღო.

კვლავ მივირბინე მაგიდასთან, მინდოდა გამე-

გო თუ კიდევ რას იტყოდნენ ჩემზე, ბიუროს სხდომა უკვე დამთავრებულიყო.

ჩვეულება მაქვს, როცა მარტო ვარ, საყუთარს თავს ვესაუბრები ხოლმე. ახლაც მარტო დავრჩი. ჩემს თავთან სალაპარაკო კი ძალიან ბევრი მაქვს. მაგილის ვასწვრივ დავიწყე სიარული.

— ეჰ, შენ ჩემო თავო, — ვთქვი ჩემად, — სმირნოვი ცუდის მდომელი გეგონა, ის კი, ხედავ, რა კარგი ბიჭი ყოფილა. ახლა ლეიტენანტი რა კეთილი და სამართლიანია! შენი გულისათვის რიგვარზე დღიური მისცეს, მაგრამ მაინც გავიღიმა და ისიც კი გითხრა, ყოჩაღო.

— მართალს ამბობ, სუვოროველი პაიჭაძე, მართალს, — მეუბნება ჩემი თავი, — ხომ გაიგე, როგორ ზრუნავენ შენთვის ამხანაგები! გახსოვს? ერთხელ ლეიტენანტმა თქვა: ადამიანი თუ გულითა და სულით მოინდომებს, ადვილად შეიგნებს, რა ნაკლი აქვს. არა მარტო შეიგნებს, არამედ თავის თავში იპოვის ძალ-ღონეს, რომ ეს ნაკლი გამოასწოროსო. შენ ხომ მიხვდი, რა ნაკლიც გაქვს? თუ მოინდომე, განა შენ კი არ შეგწვეს ძალ-ღონე, რომ გამოსწოროდ? შეგწვეს, ხომ?!

— შემწვეს, დიახ, შემწვეს, მაგრამ ყველაფერს ისა სჯობია, — ვეუბნები ჩემ თავს, — ლაყბობას თავი დაანებო და საქმეს შეუდგე. გასაგებია, ხომ?!

— გასაგებია როგორ არ არის, მაგრამ ახლა შესრულებაა ბიჭობა.

### თ ა ვ ი VIII

#### ბ ა ლ ზ ე

დღევანდელივით კარგად არასოდეს გამიწმენდია ფეხსაცმელები, სხვა დროს არც ღილები და ქაშისის ბალთა გამიპრიალებია ასე გულმოდგინედ. ხალათზე კოხტად მივიკერე თეთრი საყელო. შარვალ ხალათი საგანგებოდ გავიწმინდე.

ეს რა დიდ სამზადისში ხარო, ხან ვინ შემეკითხება, ხან ვინ.

საკვირველია, რალა ჩემი გაუკვირდებათ ხოლმე ყველაფერი. ვინ არ ემზადება დღევანდელ ბალისათვის. არც სხვებს აქვთ ჩემზე ნაკლებად დაპრიალებული ფეხსაცმელები და ღილები. საყელოებიც კოხტად აღვიათ.

ასე გასინჯეთ, სუვოროველ პეტროვსაც კი, რომელმაც ვერ იქნა და ვერ ისწავლა საყელოს მიკერება, დღეს ისე კოხტად მიუკერებია, რომ მოგწონებათ.

პეტროვის სხენებაზე, ერთი რამე გამახსენდა. პეტროვის მზეზე სიარულით ცხვირი აქვს აქერც-



ამ სიტყვებმა გული ისე ამიჩუყა, რომ კინაღამ ავტირაღი.

ლილი. დღეს მდინარეზე პირს რომ ვიბანდით, პეტროვიცი იქ იყო. მთელი ათეული მოარჩა პირის ბანას, პეტროვიცი კი, რომელმაც მგონი ხუთჯერ წაისვა საპონი, დამთავრებას არ აპირებდა.

— პეტროვ, რითი ვერ გვიგე, რომ საპონი აქტრცილი ცხვირს ვერ მოგორჩენს, ქვიშა მავის უებარი წამალი, — დაუძახა მას რომელიღაც სუვოროველმა.

მთელმა ათეულმა სიცილ-ხარხარი მორთო. პეტროვიცი კი უსინათლოსავით აქეთ-იქით იხედებოდა, რადგან სახეზე იმდენი საპონი წაესვა, რომ თვალს ვერ ახელდა.

რამდენიმე წუთმა გაწვლო. ჩვენ კიდევ დაგვა ვიწყდა ეს ხუმრობა, რომ სმირნოვმა დაიძახა, ერთი უყურეთ პეტროვს სახეზე ქვიშა მართლაც წაუსვია და რაც ძალი და ღონე აქვს ცხვირს იხეხავსო.

ამის დანახვებზე გულიანად ვიცინეთ. მწკრივშიც კი ვეღარ ვიკავებდით თავს. ხან ვის წასკდებოდა სიცილი, ხან ვის. ერთი-ორჯერ მეც ჩავიცინე ჩუმიად.

ლეიტენანტს, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ რჩებოდა ჩვენი მალული სიცილი, მაგრამ თქმით არაფერს გვეუბნებოდა. ათეულს მარცხენა მხარეს მოსდევდა ღიმილით და ჩვენთან ერთად მღეროდა.

როცა სამხადისს მოვრჩით, სუვოროველები სკოლის ეზოში გავიშალენით. ისე მოხდა, რომ სულ მარტო დავრჩი. ხანდახან მარტოობაც კარგია; რას არ გაიფიქრებ, რას არ მოიგონებ, რას არ წარმოიდგენ.

სკამზე ჩამოვჯექი. ვიჯექი დიდი კაცივით იდაყვზე დაყრდნობილი და ჩემ თავს ერთთავად ამას ვეკითხებოდი, მოვა თუ არა ბალზე წითელბაფთიანი გოგონა-მეტყი.

თუ მოვიდა, უსათუოდ მივალ მასთან და ხელის ჩამორთმევიტ გავიცნობ. ვიცეკვებ კიდევ მასთან. მაგრამ ვაი თუ სმირნოვმა დამსწროს! ის ხომ უკვე იცნობს მას. თან სმირნოვი ჩემზე კარგად ცეკვავს. ვერა და ვერ ვისწავლე ეს ობერი ვალსი. აი დღესაც, მეტი არაფერი მინდა მითულური დაუქრან, მერე მე ვიცი, როგორც ჩამოვუვლი!

ვაი თუ ის სულაც არ მოვიდეს, მერე მერე და მერე, ავღებები და სხვასთან ვიცეკვებ. თუმცა ამას რას ვამბობ. გულთთ მინდა, მენტაჯება მისი აცნობა და მასთან ცეკვა. ნეტავი რატომ? ეს რა საკითხავია! რა საჭიროა ამდენი სჯა-ბასი. ასე მინდა, ასე მესიამოვნება. მოარჩა და გათავდა.

უტბათ ქიშკარი გაიღო.

ლია კარებში გამოჩნდა მოსწავლე გოგონების

დიდი ჯგუფი. ჯგუფს წინ ორი ქალი მოუძღვის. ეტყობა მასწავლებლები არიან. მოსწავლე გოგონებს ხელში ყვავილები უჭირავთ. ისინი თამამად მოაბიჯებენ.

ცნობისმოყვარეობით ვუცქეროდი ეზოში შე. მოსულ გოგონებს და გაფაციცებით იმას ვეძებდი. ბევრი ვიციქრე აქეთ-იქით, ბევრი ვეძებე, მაგრამ ის ვერ დავინახე.

და უტბათ...

კი არ იფიქროთ, რომ მე ძალიან მიყვარდეს ეს „უტბათ“. რა ვქნა, რა ვუყო, როცა ბევრი რამ ხდებოდა ჩემ თავზე უტბათ და მოულოდნელად.

და უტბათ დავინახე ის. გულზე მომეშვა. სიმშვიდე ვიგრძენ. ფეხზე წამოვხტი და მთელი სისწრაფით გავიქეცი კლუბისაკენ.

უკვე გააჟჟაშებულ დარბაზში ვარ. იმდენ ხალხს მოუყრია თავი, რომ ტევა არ არის. დარბაზში შესვლისას ხმაურის, სიცილის, მისალმებების გუგუნმა გამაბრუა, ხოლო შექმა და ელვარებამ თვალები ამიჭირლა.

სუვოროველები და სტუმარი მოსწავლეები ჯგუფ-ჯგუფად დგანან. აქვე არიან გენერალი, ოფიცრები და მათი ოჯახის წევრები.

ავიერ სმირნოვიც.

ვაიმე დედა, ამას რას ხედავს ჩემი თვალები სმირნოვი და ის მხიარულად საუბრობენ. ისე მომეჩვენა, თითქოს სმირნოვმა მას ჩემი თავი დანახვა და ორივემ გაიცინა.

თვალთ დამიბნელდა. გულმა აჩქარებით დამიწყო ძგერა. ვეღარ მოვითმინე და გვერდზე შეებრუნდი.

უტბათ (კიდევ ეს უტბათ!) მუსიკამ დაიგრაილა.

გენერალი მასწავლებელ ქალთან მივიდა და საცეკვაოდ გაიწვია. ოფიცრებმაც მიაშურეს ქალებს. სუვოროველებმა ხელი ჩაჰკიდეს მოსწავლე გოგონებს. ისინი წყვილ-წყვილად მწყრივდებოდნენ საცეკვაოდ.

შუა წრეში თვალი მოკვარი სმირნოვს, რომელიც გრიადებით ტრიალედა იმ გოგონასთან. გვერდზე რომ ჩამიქროლეს, სმირნოვმა შემომხედა და ნიშნის მოგებით ჩაიცინა.

ვიდექი კედელზე მიყრდნობილი, ვუცქერდი ჩიკორივით მოტრიალე გოგო-ბიჭებს და თავში მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებდა: „ნიშნისაც მიგებ, არა, სმირნოვ?! დამაცა, რაღა ბიჭი ვარ, თუ მეც არ ვიცეკვო მაგ გოგონასთან!“

ვერც კი შევამჩნიე, როგორ შეჩერდნენ ჩემს წინ სმირნოვი და ის. სმირნოვმა მხიარული გამომეტყველებით მოვიდა ჩემთან.

— თენგიზ, ნება მიბოძე  
გავაცნო ჩემი ამხანაგი, — მითხრა მან და ხელით ის მიჩვენა.

— ბედნიერება მქონდა გავცნობოდი, თუ კი მას კიდევ ვახსოვარ, — მიუვუგე მე. თუმცა ახლაც არ ვიცი, ეს რამ მათქმევინა.

მან თავაზიანად და მდაბლად დამიკრა თავი.

— ნატაშა, — მუსიკის გამაყრუებელ გრიალში ძლივს ვავიგონებ მისი ხმა.

— იმედი მაქვს, სტუმარს არ მოაწყენ, — მითხრა სმირნოვმა და თვალისდახამამებაში მოცეკვავეთა შორის გაუჩინარდა.

ერთ ხანს მე და ნატაშა გაჩუმებული ვიდექით. ხანდახან შემომხედავს ნატაშა და, თითქოს რაღაც გაახსენდო, მაღულად იცინის. ნეტავი რა აცინებს! ეტყობა მზიარული გოგო კია, მაგრამ ეს უაღვილო სიცილი ვის რად ესაპირობა.

ცეკვა კვლავ გრძელდება. რომელიღაც მოცეკვავემ ნატაშას გვერდი გაპკრა. ერთმა ისიც კი დაგვიყვირა, გახზე გადექით, ხალხს რა ფეხებში ეღებოთო.

— არ ცეკვავენ? — მორიდებით შემეკითხა ნატაშა.

— როგორ არა, ცოტა-ცოტას ვახერხებ.  
— დუმილმა კვლავ ჩამოიარა.  
— მაშ, ვიცეკვოთ, — ისევ დაარღვია სიჩუმე ნატაშამ.

— ვიცეკვოთ, — მიუვუგე მე და მორიდებით მოვიკიდე ხელი.

ტალღასავით გავეიტაცა მოცეკვავეთა წყვილებმა. ნატაშა მსუბუქად და თავისუფლად ტრიალებდა. მე კი... თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ჩემი გასაპირო. თითქოს განგებ, ხან ვინ გამკრაფდა გვერდს, ხან ვინ ფეხიც ხშირად მერეოდა. სიმწრის ოფლი დამასხა...

როგორც იყო ცეკვა დამთავრდა და თავისუფლად ამოვისუნთქე.

ჩვენ დავდექით სწორედ იქ, სადაც დიდი სტალინის პორტრეტი ჰკიდია. ეს მან — საყვარელმა სტალინმა შეპქმნა ომში დაცემული თავისი მეომრების შვილებსათვის სუფოროვის სკოლები.

ასი ათასი მადლობა შენ — ძვირფასო სტალინი!



— ვიცეკვოთ, — მიუვუგე მე და მორიდებით მოვიკიდე ხელი.

მთელი ეს საღამო მე და ნატაშა ერთად ვსვინობდით. ბევრი, ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი მიაკბო მან. სხვათა შორის იმასაც შემეკითხა, როგორ სწავლობო. საშუალოდ-მეთქი. მე კი ხუთოსანი ვარო. არ გგონოთ, ვითომ ნატაშაზე მალე ვაყვანებდე თავს, მაგრამ თენგიზ ჰაიჭაძე რაღა ჰაიჭაძეა, თუ ნატაშას სწავლაში ჩამოუვარდეს.

ცოტაც დამაცალეთ და ნახვით, ვიქნები თუ არა ხუთოსანი... დღევანდელივით ბედნიერი და გახარებული არასოდეს ვყოფილვარ. გავიცანი ნატაშა!

## თ ა ვ ი X

### ნამდვილი ამხანაგი

— სუფოროველო სმირნოვ, დიდი მადლობელი ვარ შენი, — ვუთხარი მას დღეს დილით.

სმირნოვი ვერ მიხვდა, რაზე ვუხდიდი მადლობას. ეგონა, დაცინვით ვეუბნებოდი ამას; განცვიფრებით ამხედ-დამხედა და მომიგო:

— თენგიზ, რად ხარ ჩემზე ნაწყენი?! მე არ შეგმცდარავარ რომ სიმართლე ვთქვი. ყველა სუფოროველი მოვალეა ასე მოიქცეს.

— მართალი ხარ, უკვე გავიგე ის, რაც შენ

ჩემზე ადრე იცოდინ და ახლა სწორედ ამიტომ გიხსი მადლობას. არც შენ გეწყინოს, თუ ერთ შენიშვნას მოგკემ. ირკვევა, ზოგი რამ შენც არ გკოდნია. მე თენგიზი კი არა, სუვოროველი პა- იძაძე ვარ, ვასაგებია?

— ვასაგებია.

მე და სმირნოვი ერთმანეთს დავაცქერდით. ორივე ვღვმდით. ან რა საკირო იყო სიტყვები, როცა ჩვენი თვალები სათქმელს ენაზე უკეთ ამ- ბობდნენ. ბოლოს ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამო- ვართეთ, გადავხვიეთ და გადავკოცნეთ.

ამის შემდეგ, ყოველდღე, მე და სმირნოვი გა- კვეთილებს ერთად ვაშხალებდით. სმირნოვი სამ- წყობრო მზადებაში მენზარება. მე კი მას არით- მეტიკულ ამოცანების ამოხსნაში ემხმარები. ცოტა რუსულშიაც მოვიკოტლებ. ხანდახან ხდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ საკითხს გაკვეთილზე ბუნდოვნად ვგებულობ. სმირნოვის დახმარებით კი ჩემთვის ყველაფერი ვასაგები ხდება. ძალიან კარგად მი- დის საქმე. ამ ბოლო დროს არც ერთ საგანში ოთხზე ნაკლები არ მიმიღია. აი, თურმე, რა ბე- ვრი შესძლებია ამხანაგის დახმარებასა და გულ- მოდგინე მეცადინეობას. აღარც სამწყობრო ოზა- დებაში მოვიკოტლებ. ლიტენანტმა ლოგინოვმა მე, სმირნოვს და კიდევ ორ სუვოროველს სამ- წყობრო მზადებაში კარგი მაჩვენებლებისათვის მწკრივის წინ მადლობა გამოგვიცხადა.

გუშინ ჩვენი ათეული მეცადინეობიდან სკოლა- ში ბრუნდებოდა. ჩვენ მივიღოთ ფართო ქუჩით, რომლის ორივე მხარეს აუარებელი ხალხი იდგა. ყველა გვიცინავდა, ყველა ხელს გვიქნევდა. სმირ- ნოვმა სიმღერა წამოიწყო, მას მთელი ათეული აჰყვა. თავისუფლად, ლოლად მივაბიჯებდით. პა- ტარა გოგო-ბიჭები უკან აგვედევნენ, ისინი სი- არულში გვბაძავდნენ, მაგრამ წარამარა ფეხი ერე- ოდათ. სულ ბოლოს ათეულს ცეროდნა ბიკი მის- დევდა. მისწვარის ტანსაცმელი ცეცა. ქამარზე კვიდა ხელს პატარა ხმალი, სწორედ ისეთი, რო- გორსაც მეზღვაური ოფიცრები ატარებენ. პატა- რა ბიჭს გვერდში ამოსდგომოდა მალალ-მალალი ქალი, რომელსაც სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა. შევხედე თუ არა, იმ წამსვე მივხე- დი, რომ დედა იყო. დედა შეიღს ხმამაღლა რა- ლდას ელაპარაკებოდა, მაგრამ ძნელი იყო მისი სიტყვების გაგება. რატომღაც გავიფიქრე, რომ დედა თავის შვილს ეუბნებოდა:

— შვილო, მწკრივის არ ჩამორჩე. მტკიცე ნაბიჯი გადადგი, ფეხი არ აუროი...

ამის გაფიქრებისთანავე დედაჩემი გამახსენდა. მე ხომ მის მეტი ახლობელი არავინა მყავს. თვალ-

წინ ცოცხლად წარმომიდგა იგი. ორი თვეა, რაც დედა არ ნინახავს. ისე კი, მეჩვენება, თითქოს ორი წელი გასულიყოს. რომ იცოდეთ, რა მალაში ვუყვარე და დედაჩემს. ჩიტის რძე რომ მომსურვე- ბოდა, იმასაც ვამიჩენდა. ერთთავად მეაღურსე- ბოდა, მეფერებოდა! რაც არ უნდა ჩამედინა, არ გამიბრაზდებოდა, სულ იმას მეუბნებოდა: შენი კირიმე, დედისერთა ბიჭო, ისე გაგზრდი, ცე- ნიავს არ მოგაკარებ და უმამობას არ გაგარძო- ბინებო.

უმამობას მართლაც არ ვგარძობდი, ნიავისა კი რა მოგახსენოთ!

დედაჩემი სანსახურში იყო, მე კი მთელი დღე ქუჩაში დავბოდი, ხან ბიჭებში ვლახტაობდი, ხან ქალაში დავდიოდი და ფრინველებს ბუდეს ვუშ- ლიდი. საღამოობით დამლობანას ეთამაშობდი, ან არა და ქალაქის ბაღში დედის მიერ რვეულე- ბისათვის მოცემული ფუთლი კარუსელზე ვტრი- ალებდი.

ვინ იყო ხმის გამცემი! ჩემ ნებაზე ვიყავ მიშვე- ბული და რასაც მინდოდა იმას ვაკეთებდი.

მშვიდობით, ტკბილი დღეებო, თქვენ არასო- დეს განმეორდებით!

სუვოროვის სკოლაში ჩემს წამოსვლაზე დედა წინააღმდეგი იყო. შვილო, მეუბნებოდა იგი, ნე- ბიერად ხარ გაზრდილი და ძალიან გაგიძნელდება სუვოროვის სკოლაში სწავლაო.

როგორც ყოველთვის დედა ადვილად დავი- თანხმე.

როცა სუვოროვის სკოლაში მოვიდიოდი, დედამ ორი დღი კალათა სანოვავე გამომატანა; ზუთი წყვილი წინდა და ამდენივე ზელთათმანი მოექსო- ვა. ვაი თუ რუსეთში მოხვდე, შვილო, იქ ცივი ზამთარი იცის და ხელ-ფეხზე არ შეგცივდესო, როცა ჩვენ მწკრივში ჩავდებოთ და სადგურისაკენ გავეშართეთ, დედა ეხარო ამომიღდა, მოდიოდა ჩემთან ერთად და თვლიდა არ მაცილებდა. გამომ- შვიდობებისას მითხრა:

— კარგად ისწავლე, შვილო, მამაშენი არ შეარ- ცხინო. უფროსებს გაუგონე, რაც გითხრან, ყვე- ლაფერი შეასრულე. მწკრივში ამხანაგებს არ ჩამორ- ჩე, მტკიცე ნაბიჯი გადადგი, ფეხი არ აუროი.

საყვარლო დედა, მე მხოლოდ ახლა გავიგე, თუ რა იყო სუვოროვის სკოლა, მაგრამ შენ მაინც სწორ. რჩევა-დარიგებას მაძლევდი. დედა, თუ რო- გორ შეეპასრულე შენი თხოვნა, ამას ლიტენანტის წერილში წიკითხავ. მან დღეს მითხრა, რომ გან- ხრახული აქვს მოგწეროს წერილი.



გენერლის რეკომენდაციით

— განგავში!!!—მომესმა ძილში.

თვალის დახამხამებაში ფეხზე დავდექი, ფეხები შარვალში გაეყავი, კიტელი ჩავიცვი... ვინ დამეძახა ახლა ღიღების შეკვრას! ფეხსაცმელს ვტაცე ხელი და ფეხზე გავიწყე. ქაპარი შემოვიბრტყი, ქული—თავზე, ხოლო აირწინალი მხარზე მოვიგდე. გარეთ გამოვევარდი და დადგენილი ადგილისაკენ გავიქეცი. არ ვიტყვი, პირველი მივიღი-მეთქი, მაგრამ არც სხვა ვინმე მისულა ჩემზე ადრე, ორ-სამ წუთში მთელი სკოლა ათეულებად დამწყრივდა.

გაისმა ბრძანება:

— ოფიცერთა შემადგენლობა გენერალთან რამდენიმე წუთის შემდეგ ლეიტენანტი ლოგინოვი უკვე გვიხსნიდა ამოცანას. ჩენს ოცეულს ნაბრძანები ჰქონდა, გასულიყო სამხრეთით ქალაქის განაპირას მდებარე აგურის ქარხანასთან და გზა გადაეღობა ქალაქისაკენ მომავალი „მტრისათვის“.

— სუვოროველებო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ვიაროთ. ახლა 7 საათია, 7 საათსა და 30 წუთზე დანიშნულ ადგილზე უნდა ვიყოთ... წინაღმდეგ შემთხვევაში „მტერი“ ქალაქში შემოიჭრება. მოსალოდნელია საპაერო თავდასხმა, ამიტომ ქალაქიდან ფეხით გავალთ ათეულებად დაწყობილნი. პირველი ათეულის მეთაურად ვინაზავ სუვოროველ პეტროვს, ხოლო მეორე ათეულის მეთაურად სუვოროველ პაიჭაძეს. ათეულის მეთაურებო, შეუდექით ბრძანების შესრულებას!—ასე დაამთავრა ლეიტენანტმა მოკლე საუბარი.

— მეორე ათეულო, უსმინე ჩემს ბრძანებას!— უმალ მივმართე ჩემს ათეულში შემავალ სუვოროველებს და ვუბრძანე უკან მომყოლოდნენ.

სწრაფი ნაბიჯით წავედი ქალაქის სამხრეთით. ათეული უკან გამოიყვია. ვხედავ, ჩემს გვერდით პეტროვი მოდის. ეს სწორედ ის პეტროვია, რომელსაც ცხვირი მუდამ აქერცილილი აქვს. იგი თავის ათეულს მოუძღვის. სხვა რამემ რა გითხრათ, სიარულში კი პეტროვი ვერ შემომედრება. იმის შიშით, რომ პეტროვს არ გავსწრო, გავიქეცი, მაგრამ რა გავიქეცი! კარგა მანძილზე ჩამოვიტოვე პეტროვი თავისი ათეულით. არც ათეულმა მიმტყუნა, ბიჭები ფეხდაფეხ მომდევდნენ. უცბად ავტომანქანის საყვირის ხმა გავიგონე. უკან მოვიხედე და რას ვხედავ: პეტროვი და მისი ათეული ავტომანქანაზე მოკალათებულან და ხელის ქნევით გვიძახიან, თუ ბიჭები ხართ, აბა ახლა მოგვეყვიოთ.

ავტომანქანამ რამდენიმე მეტრით წინ გავვიწრო და შეჩერდა.

— თქვენ ეი, ულომრებო!—გაღმოგვიძახა კაბინიდან გრძელ შეფაშინამ მძღოლმა. — დასხედით, გზა ერთი გვეკონია და წაიგეყვანო, თორემ სირბილით ფერდები ჩაკვივდებათ.

რამდენიმე სუვოროველმა ავტომანქანასთან მიიბრინა, ორი მათგანი უკვე ზედ იფაფებოდა.

მე არ ვიცოდი როგორი გადაწყვეტილება მიმელო, მაგრამ გამახსენდა ლეიტენანტის სიტყვები: ქალაქიდან ფეხით გავალთ ათეულებადო.

— არაა საჭირო! გავეცი ბრძანება.

სუვოროველები გაკვირვებით შემომაცქერდნენ. ერთმა ისიც კი მითხრა, რომ მე გამოჩერებულე ვარ და არ შემიძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება.

— შეწყვიტეთ ლაპარაკი და მომყევით!—ვუბრძანე სუვოროველებს და გზა განვაგრძე.

— შენც ყოფილხარ რალა! მანქანას ვთავაზობენ, შენ კი ცხვირი ტრაპიზონისკენ მიგაქვს!—მომამახა მძღოლმა და ავტომანქანა მთელი სისწრაფით გააქანა.

მეშინოდა, ვაი თუ სუვოროველებმა ჩები ბრძანება არ შეასრულონ-მეთქი. ავტომანქანას თვალი გავაყოლე. როცა დავრწმუნდი, რომ ჩემი ათეულიდან ზედ არავინ იჯდა, გახარებულმა ნაბიჯს უფრო აუჭქარე.

უცბათ გამახსენდა, რომ აგურის ქარხანასთან მისასვლელად აუცილებელი არ არის ხიდზე გასვლა. თუ მდინარეზე შესაფერ ფონს გამოვინახავდი, სულ ცოტა 4—5 კილომეტრით მივინ მოკლებდით გზას.

სწორედ ამ დროს გზაზე მოხუცი შემოგვხვდა. შუა გზაზე იდგა და დიდი ცნობისმოყვარეობით გვიცქერდა. შევიტიხე, არის თუ არა მდინარეზე ახლომანლო გდასასვლელი ფონი-მეთქი. არისო, მომიო მოხუცმა და მდინარისაკენ ჩამავალი გზა დამანახვა. მაგას ჩაჰყევით და პირდაპირ ფონთან მიხვალთო.

სწრაფად გავწიეთ მოხუცის ნაჩვენები გზით. ცოტა ვიარეთ, თუ ბევრი, წავადექით მდინარეს. შევეტოე მდინარეში და სწრაფად გავეშურე მეორე ნაპირისაკენ. სუვოროველთა უზრავლესობა კრინტი არ დაუძრავს. ერთი-ორმა წაილაპარაკა, ჩვენ ნაბრძანები არ გვაქვს წყალში ტოვავო. მათ უკან მიუხედავად დაუყვირი: შეწყვიტეთ ლაპარაკი და ბრძანება შეასრულეთ-მეთქი.

მათ, რასაკვირველია, ხმაშაღლა აღარაფერი უთქვამთ, თუმცა გარკვევით მესმოდა, თუ როგორ

ბურტუყუნებდნენ, როგორ აკრიტიკებდნენ ჩემს მოქმედებას.

გავედით ნაპირზე და შეუსვენებელი გავნაგრძეთ გზა. ზუსტად დანიშნულ დროზე ჩვენ აფურის ქარხანასთან ვიყავით. პეტროვის ათეულიც აქ დაგვხვდა. მოვიდა ლეიტენანტიც.

— პეტროვის ათეული მტრის ავიაციამ გაანადგურა. პაიჭაძის ათეულმა ქალაქში მიმავალი გზის მხარეს მხარეს დაიკაფოს საბრძოლო პოზიცია! — გასცა ბრძანება ლეიტენანტმა.

გარშემო ტრიალ მინდორია: არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი. ნეტავი ახლო ერთი პატარა მალაში მიინც იყოს!

არ ვიცოდი, სად დამეჭირა საბრძოლო პოზიცია. მდინარეში რომ გამოვდიოდით, წყლის პირას გამოვივარეთ, მაღალ ცოცხში. ორი სუვოროველი გავაქციეთ ცოცხზე, დანარჩენებს კი ვუბრძანე გაეჭრათ თხრილები. ამოეთხარეთ თხრილები და ცოცხზე წასული სუვოროველებიც მოვიდნენ. თხრილები ცოცხით შევნიღბეთ და შიგ მოვთავსდით. მალე გენერლის შიკრიკი სუვოროველი მოვიდა და ლეიტენანტს გენერლის ბრძანება გადასცა. ქალაქის მისადგომებთან „მტერი“ საბრძოლო პოზიცია დაიკავა. ჩვენი ნაწილები შეტევაზე უნდა გადავიდნენ და „მტერი“ გაანადგურონ, ნიშანი წითელი შუშხუნა არისო.

არ გასულა ხუთი წუთი, და თვითონ გენერალიც მოვიდა. მან ჩვენს უკან, ფარდულში დაიკავა სამეთაურო პუნქტი. როგორც შემდეგ უფროსკლა-

სელმა სუვოროველმა მიამბო, გენერალს ძალიან მოსწონებია ჩემი ათეულის პოზიცია.

— ვინ არის ამ ათეულის მეთაური? — შევკითხა თურმე ლეიტენანტს გენერალი.

— სუვოროველი პაიჭაძე, — მოახსენა ლეიტენანტმა.

— სუვოროველი პაიჭაძე, — გამიგორა გენერალი და ცოტა ხნის შემდეგ დაუშაბა!

— ძალიან ნაცნობი გვარია.

— ნაცნობი როგორ არ არის, ამხანაგო გენერალო, ფეხბურთელ პაიჭაძეს მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ.

— არა, მე ამიტომ არ ვამბობ, რომ პაიჭაძე ცნობილი გვარია...


უთქვამს ეს გენერალს და საათზე დაუხედავს — საათის ისარი დანიშნულ დროს უახლოვდებოდა და ვილას ეცალა სალაპარაკოდ.

წითელი შუშხუნა ავარდა თუ არა, გავეცი ბრძანება:

— ათეულო, წინ!

სწრაფად დავტოვეთ თხრილები და ელვის სისწრაფით გავეჭანეთ წინ. ამუშავდნენ ხის ტყვიამფრქვევები, გაისმა თოფების დგაფა-დგუფი. უცბათ წვადადექით „მტრის“ პირობით პოზიციებს. „მტერი“ წამოიშალა. გაიმართა უმკაცრესი ხელჩართული ბრძოლა. ავტომატებით დავევრეთ მტერს. ჩვენი ცეცხლი შეუბრალებლად ანადგურებდა მათ რიგებს.

მტერი გატყდა, პირი იბრუნა. ჩვენ ცეცხლი დავადევნეთ გაქცეულ მტერს.



...„ბრძოლის“ დამთავრებისთანავე გენერალმა თავისთან დამე ძახა.

## რაც არ გესმის ჰკითხე სხვას!

გამაბრაზა გუშინ ირამ,  
სულ არ იცის შესვენება,  
კითხულობს და შიგ ბევრი რამ  
გაუგებრად იჩვენება.

ამოიწვრს სიტყვებს ნუსხად,  
განა ერთსა, ათს და ასსა.  
ვეუბნები: რასა სწუხარ,  
რაც არ გესმის, ჰკითხე სხვასა.

აი, ახლაც, სასაუბროს  
ვერ აუბა სიტყვის კილო,..  
— რაც არ გესმის, ჰკითხე უფროსს,  
აქ რა არის სათაკილო?

სწავლამ ბევრი გამოზარდა,  
რა დააშრობს სიბრძნის ზღვასა?  
ამდენი ხნის კაცი ვარ და  
რაც არ მესმის, ვკითხავ სხვასა!

\*

### ქალე ბოზონიძე

## რუსული ენა

რუსული ენით წინ ვივლი მუდამ,  
გზას გაგინათებ, მაქვს მტკიცე რწმენა;  
ვით დედაენა ახლოა გულთან  
ლენინის ენა, ბუშკინის ენა.  
თექვსმეტი ერი ერთი გზით მიდის  
და კრემლის ვარსკვლავს იმედად ხედავს.  
მიყვარს მოსკოვი, რუსეთი დიდი  
ისე, ვით მიყვარს მშობელი დედა.  
ჩვენ მისი დროშის ნათელი გვადავს,  
გვაქვს მისი ძალა და აღმაფრენა;  
რუსული ენა მე მიყვარს, რადგან  
იგია დიდი ოქტომბრის ენა.  
რუსული ენით წინ ვივლი მუდამ.  
გზას გაგინათებ, მაქვს მტკიცე რწმენა;  
ვით დედა ენა, ახლოა გულთან  
ლენინის ენა, ბუშკინის ენა.

\*

...„ბრძოლის“ დამთავრებისთანავე გენერალმა  
თავისთან დამიძახა. როგორც წესი და რიგია,  
წავდექი და მოვახსენე:

— სუვოროველი პაიჭაძე თქვენი ბრძანებით  
გამოცხადდა.

— ყოჩაღ, სუვოროველი პაიჭაძე, ყოჩაღ, მე  
ახლა ვხედავ ნამდვილ სუვოროველს,—მითხრა გე-  
ნერალმა. ამხედრ-დამხედა და მცირე ხნის შემდეგ  
შემეკითხა:

— სადაური ხარ?

— ქუთაისიდან, ამხანაგო გენერალო.

— ვასილ პეტრეს-ძე პაიჭაძეს არ იცნობდი?

— როგორ გითხრათ, ამხანაგო გენერალო, ნახ-  
ვით, როგორც დედაჩემი ამბობს, მინახავს, მაგ-  
რამ აღარ მახსოვს. ის მამაჩემი იყო. მოსკოვის  
მისადგომებთან დაიღუპა. პროფესიით ინჟინერი  
ყოფილა.

— კარგი ოფიცერი იყო ლეიტენანტი პაიჭაძე.  
ის ჩემს პოლკში მსახურობდა ასეულის მეთაურად,  
ერთ-ერთ ხელჩართულ ბრძოლაში დაეცა გმირუ-  
ლად,—თქვა გენერალმა და მცირე ფიქრის შემ-  
დეგ დიუმიტა:—გახარა მამაშენს... გონებამა-  
ხვილი, მოხერხებული და მომთხოვნი ოფიცერი  
იყო პაიჭაძე,—გენერალი ოდნავ გვერდით შეტ-  
რიალდა. ის ვასცქეროდა უსაზღვრო სივრცეს. მე  
ვერ ვხედავდი მის სახეს, მაგრამ კარგად ვამჩნე-  
ვდი, თუ როგორ გამალებით უთამაშებდა ყურის  
ძირას ამობერილი ძაბრღე.

ნეტავ, რას ფიქრობდა გენერალი?!

იმას ხომ არა, რომ ბრძოლის ველზე დაცე-  
მულმა მამებმა დაიცვეს ჩვენი წინ გაშლილი ტყე-  
ები და ველები, ქალაქები და სოფლები და, რაც  
მთავარია, ჩვენი სიცოცხლე.

— მე მითხრეს, რომ შენ კომკავშირელი არა  
ხარ,—თქვა გენერალმა.

— კომკავშირელი არა ვარ, ამხანაგო გენე-  
რალო.

— მერე, რატომ?

დაბნეული შეცქეროდი გენერალს. ვგრძნობ-  
დი, როგორ თანდათან მეკიდებოდა სახეზე, ყუ-  
რებზე სირცხვილის ალმური. აბა, ხომ ვერ ვეტყო-  
დი, მეშინია მიღებაზე უარი არ მითხრან-მეთქი.  
გენერალმა, თითქოს მიმიხვდაო, ღიმილით გადმო-  
მხედა.

— დაწერე განცხადება, რეკომენდაციას მე  
გაძლევ.

— დღესვე დავწერ, ამხანაგო გენერალო.

# ს ა ი რ უ მ ე რ ო გ ა მ ო ო ო ო ო ო ო \*

მ ო თ ხ რ ო ბ ა



გზაში თანდათან შემოგვათენდა და როდესაც ქეიბურას ხევში შევედით მზეც ამოიწვერა. მართალია მცირე ხანს, გამგზავრების შემდეგ, თითქო ძილიც კი მომერია, მაგრამ ახლა დილის გრილმა ნიაფმა მთლად გამომაფხიზლა და, როდესაც ჩვენი „პოზები“ გეოლოგთურ საძიებო ბანაკის წინ გაჩერდა, მეც და ჯანიოც მკვირცხლად გადმოვედით მანქანიდან.

ოსიკო უკვე ამღვარიყო და მდინარის პირად იწკუმბლებოდა.

— ომო, მოხვედით დამწვარო ისტორიკოსებო?!— შეგვეგება ის მხიარულად.

ჩვენ, რასაკვირველია, მაშინვე გვიწოდლა ყოველივე დავგრილებითი გავგვეო და კითხვები სეტყვახავით დავაყარეთ.

— ნახე?

— სად ნახე?

— როგორი კვალია?

— მართკ კვალი ნახე თუ რა?

ოსიკომ შემოგვიტია:

— დიაცო, ყურები ნუ წამბამეთ. თქვენ რაზე მეკითხებით, ნახეთ, თუ განძის შესახებ, მაშინ..

— განძისო? განა განძი ნახე?— ვეცი მოუთმენლად მე.

— მერე და როგორი, — ეშმაკურად ჩამიკრა თვალი ოსიკომ.

— ნუთუ მართლა? ჯანიოც, გესმის? — შევძახე მე ჩემს მეგობარს.

— ეგ შენ რომ გგონია იმ განძს არ გულისხმობს, — მიხარა ჯანიოც.

— ყოჩაღ, ჯანიოც! — შეაქო ოსიკომ. — მე ისეთი განძი აღმოვაჩინე, მგონი აქ, რომ... მაგრამ ამაზე შემდეგ, ახლა ბეტყვით თუ რაზე დავიძახეთ, თორემ ბატყვით, თუ კი დიდ დავაგვიანე, გულმ შეგიწულებათ. გუშინ საღამოს იმ კლდე-თან მივედი, სადაც მაშინ ძიება შევწყვიტეთ. მზე უკვე ჩადიოდა და მე ტოპოგრაფს ვაჩქარებდი სამუშაო მოთავებინა. ჩვენ ახლა გვგზის ანუ რუკის დახატვას დროზე უნდა მოვრჩეთ, რადგან მალე საბურღავ სამუშაოებს უნდა შევედგეთ და აქ დიდი მამატებით ძიება დავიწყოთ.

— განა ახლა რას აკეთებთ?— გაკვირვებით შევეკითხე მე.

— ახლა წინასწარ ვიკვლივთ. შო და მათულოდენლად მოვიხიდე და რას ვხედავ? კლდეზე ამოკვეთილ მშვილდ-ისრის გამოსახულებას ორი ინიციალით. თვალებს არ ვუჯგერი, ხედავ? ეს რა არის-მეთქი, ტოპოგრაფს ვეკითხები. ვხედავო, მიხარა, მშვილდისპირა და ორი ხუტური ასომთავრული ასოა. ეტყობა აქ რაღაც ნაებობა ყოფილა, ან რაღაც ნიშანია, იქნება გზის მარჩენებელიო. ცხადია, არ ვცდებოდი და არც მარჩენებოდა. მაშინ კი დავწერე ბარათი და თქვენთან ჩემი შოფერი ვაფრინე. ახლა წამოდიეთ, ვნახოთ ის ნიშანია.

არც ვიცი ვავფრინდით თუ ფეხები მივედით კლდის ძო-

რამდე. ხან მე ვიყავი წინ, ხან — ჯანიოც. ოსიკო ძლივს გვეწყოდა.

— აი, აქ უნდა იყოს, — თქვა ოსიკომ, მაგრამ ტურები გაკვირვებით მოკუმდა და კლდეს დაიკქერდა. იქ სადაც მისი აზრით მშვილდ-ისრის გამოსახულება უნდა ყოფილიყო ამოკვეთილი, არაფერი ამის მსგავსი არ ჩანდა.

ჩვენ კი მოუთმენლად შევცვირდით ოსიკოს და ვეკითხებოდით:

— სად არის?

— დალახვროს ეშმაკმა! აი, აქ იყო.. აქვე ახლა გვექონდა ტოპოგრაფიული ნიშანი. წადი ერთი, ტოპოგრაფს დამიძახე, — უთხრა მან ერთ-ერთ მუშას და მერე ისევე ჩვენ მოგვიბარუნდა: — აი, ამ ადგილზე იყო, კარგად მახსოვს.

— მერე, რაღა იქნა, ვაფრინდა? — კითხა გუჯავრებით ჯანიოც. — მე ვფიქრობ, შენ მგონი შალუციანცია დავემართა და მოგვლანდა.

— მგონი, მართლა, მაგრე იყოს, — თქვა დაღვრებით ოსიკომ და ისევე კლდედ დაუწყო კირკითი, — შე ან ჩემს ტყუაზე არა ვარ, ან აქ რაღაც ამბავია.

მალე ტოპოგრაფიც მოვიდა.

— პატყვემული ნიყო, თქვენც სომ ნახეთ გუშინ აქ კლდეში ამოკვეთილი გამოსახულება მშვილდ-ისრისა? — კითხა მას ოსიკომ.

— როგორ არა, აი, აქ იყო, — უპასუხა ტოპოგრაფმა და კლდეზე მიუთითა.

— სად არის მერე?

— მართლა და რა იქნა? — კითხა გოცებიით მოხუცმა და კლდეს მიაშტერდა. — ეს რაღაც სასწაულია, გამჭარალა..

— ეგ შეუძლებელია, — ვთქვი მე, — თუ იყო, ერთ დამეში როგორ გაქრებოდა? თქვენ რაღაც ორივე ურევთ.

— პატყვისნებს გეფიცებით, აქ რაღაც მართლაც უცნაური ამბავია. მე ნათლად ვნახე ის გამოსახულება, — ტოპოგრაფმა კვლავ შეხედა კლდეს. შემდეგ თითქო დავეკუდა, მგონი აქ არ იყოო, და სხვა ადგილებზე დაიწყო ძიება.

ჩვენც მივეყვით ხან ალმა, ხან დღმა, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ყველგან ვეძებთ, მაგრამ იმ უცნაურად გამჭარალი გამოსახულების მცირეოდენი კვალიც კი ვერ ვნახეთ.

გაწბილებული დავბრუნდით უკან.

\* გაგრძელება. იხ. ჟურნ. „სპიონერი“ №16 ნ. 7.

ახლა შეგვეტყო ორივეს უძილობა. მეც და ჯანაიკოსაც ისე გვეძინებოდა, გული გვერტოდა. ოსიკო მართალია გამასპინძლებას გვიპირებდა, მაგრამ ჩვენ უარი ვიფარებით და კარავში დასაძინებლად მოვეწყეთ. გვიწოდდა ერთი-ორი საათის ძილის შემდეგ თბილისში დაბრუნებულიყავით.

წამოწყვეტო, მაგრამ დღე ძილს შეუწყველებს თვალს რული არ გავგეკარა. მაინც გარინდებულმა თავი მოვიმძინარეო, თვალბები დახსუშეთ და ფიქრებს მივეყვით.

მოსვენებას არ გვაძლევდა ოსიკოს ეს უცნაური აღმოჩენა. მართლა ჰალუცინაცია იყო, თუ ნამდვილად ნახა ეს გამოსახულება?

იქნება მართლა მოეჩვენა, მაგრამ ხომ არ შეიძლებოდა ორ ადამიანს ერთადიგივე მოხვედროდა.

მაშინ, აღბათ, ნამდვილად ნახეს, მაგრამ სადღა გაქრა ეს გამოსახულება?

ხან ერთ გვერდზე გადავბრუნდი, ხან მეორეზე, მაგრამ აბეზარი ფიქრი არ მომეშვა და არა.

კარგა ხნის წყდების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ არ დამეძინებოდა, თავი ავწიე და ჯანაიკოს ვეცხოვ.

— გძინავს?

— რა ეშმაკი დამაძინებს! — წამოიჭრა ფეხზე ჯანაიკო. — შამფურით თვრიდალე ბრთავე და ერთ ცეცხლში ვიწვით. წამო, ოსიკოს ვუთხარო მანქანა მოვეცეს და წავიდეთ აქედან. ეს რა ჰირს გადამკიდე, მგონა სამივე გავვიფლით. მოჩვენებები გველანდებოდა.

— გელონა არ იქნება ურიგო, თუ კარგ ნერვოზობოლოვს ან ფსიქიკატის გავვისწავებით, — ვუთხარაი მე.

— შენ ხუმრობ და ეგ მართლა არ იქნება უტყუო საქმე.

— მე ახლა ვფიქრობ, რომ ყველაფერი ის ოსიკოს მოგონილია.

— რატომ? — გაუჭვირდა ჯანაიკოს.

— ისე, გავჯანთამაშა და მერე გვეტყვის გიხუმრებო. ვიცი მაგის ამბავი.

— ის მოსუციც გვათამაშებს?

— განაზრახებოდა. ეტყუადა, ეს ორი დამწვარი ისტორიკოსი მინდა გავაპამპულო და თქვი ვითომ აქ ასეთი და ასეთი გამოსახულება ვიპოვეთ.

— ეგ რატომ არ მომივიდა აწრად? — იტიცაო შუბლზე ხელი ჯანაიკომ, — მართლა აგრე იქნება. გათენების ხანს რომ მოგვაცუნა კარზე წოფერი, ვითომ უფრო დაიფერებინო. შენ მართალი ხარ. წამო ერთი და იმ შენ ოსიკოს, მართალია უფროსი კაცია, მაგრამ ისე მიგაღონდაც, შენი მოწონებულო... არც კი დაგიდევ იმას, რომ მასპინძელია.

გამეცინა, რადგან ეცოდინა, რომ ჯანაიკო ასეთს არაფერს ჩაიდენდა. ორთავენი კარგივანდ გარტე გამოვედით და ოსიკოსთან გავემარტეთ. ის ექსპედიციის დღე კარგეში თავის ნახაზებს უფადა და რაღაც გამოთვლებს აწარმოებდა.

— ოჲ, მოვედით, ვაჟკაცებო, — გვითხრა მან და ფანქარი ნახაზე დააგლო, — არ შეიძლება შეშაობა. მთელი დღეა ამაზე ვფიქრობ. მზადა ვარ სასწაული დავიფერო.

— ეგ მგონი მართლა ურცხეა. — წამწერულია ყურში ჯანაიკომ და მერე მამაღლა დასძინა, — შეიძლება დავიფერო კაცმა მატერიალისტური სასწაული.

— როგორ? — დიმილით შეხედა ოსიკომ.

— აი, აქ თუ მადნები აღმოჩნდა, ეს მართლა რომ სასწაული იქნება. თუ ამის დაფერებას აპირებ, ჩვეც მზადა ვართ მხარი დაგიბირეთ. რაც შეეხება გამოსახულებას კლდეზე...

— კარგია, მაგას თავი დაგანებოთ, — წამოიჭრა ზეზე ოსიკო, — წამოდი, ცოტა პური ვქამათ. არ მოგშვედეთ.

— მეღლით, — ვუთხარაი მე.

შენაყრების შემდეგ ოსიკოს ვთხოვეთ, რომ მანქანა მოცეკ ჩვენთვის და თბილისში გავეშვი.

— ცოტა მოიცაო, რა გეჩქარებოთ, — გვითხრა მან.

— როგორ თუ რა გეჩქარებო, სამსახურში იმას ხომ არ ვეტყვით მალტინაციებს და დედებდითო, — ვუხსკვედღერე მე.

— მოდიეთ ერთი, კიდევ ვნახეთ ის კლდე, — მოგვმართა ოსიკომ — გული ვიფერებო. მხოლოდ ცოტა მომიცადეთ აქ, პატარა საქმე მაქვს და მერე ერთად წავიდეთ.

ჯანაიკომ წარბეჭკვით გადამოხედა.

— მე ვფიქრობ, რომ ოსიკო ჩემო, შენ აქ ბევრი შემთხვევა გექნება ის კლდე ნახო, ჩვენ კი, შენ გენაცვალე, გავვიშვი, — უთხრა ბოლოს მან ოსიკოს.

— მაშ წასვლა გინდა?

— აუსცილებლად.

— შენ, თათ?

— მეც... თუმცა... თუმცა რახან ჩამოვედით, მთელი ოსიკოს ხათრს ნუ გავუტყობო, სულერთია, დღე მაინც გავციცლა, — მიფუბრუნდი ჯანაიკოს.

— კარგი, აგრე იყოს, — მოწყალეხასავით გაიღო თანხიზა ჯანაიკომ.

ოსიკო თავის საქმეზე წავიდა, ჩვენ კი გვიწოდდა ძველი გათხრები და გვეფიქრებინა, მაგრამ ახლა ამ შენაყრების შემდეგ, მოულოდნელად ძილი მოგვერია. ამიტომ კვლავ ჩვენს ლოცინებს დავუბრუნდით და მივედეთ თავი თუ არა, მაშინვე დაგვეძინა.

როდესაც ოსიკომ გავადვიტა უჯრე საღამოვედობო.

— გეყოფათ ხვრინვა, — გვითხრა მან, — ერთი ათჯერ მაინც მოვედი, მაგრამ აღარ გავადვიტეთ. მერე რა მხატვრობი ხვრინვა გცოდნია ორთავეს. ერთი უნდა ვუთხრა ჩვენს კომპოზიტორებს დასწერონ ხვრინვის სიმფონია. საინტერესო რა-მე იქნება. შენ, მაგალითად, ფალცეტით ხვრინადა, ჩემო თათარ, შენ კი, ჩემო ჯანაიკო, ხვრინვის სახალხო არტიტი ყოფილხარ. წავიდეთ, ვნახეთ ის კლდე. თუ... გეზარბათ და თბილისში წასვლო?

— შენი ხათრისათვის წავიდეთ თორემ, ცხადია, დროს ტყუილად ვეკარავთ, — უხალხოსად და თვალების ფშვინტით თქვა ჯანაიკომ.

ღრუბლიანი საღამო იყო. მართო დასაკლეთით ლაქლა-პებდა მოწმენდილი ცა მოხსვრდა.

სამივენი ჩუმად მივაბეჯდებოდით იმ საარაკო კლდისაკენ. როდესაც დავეხსლოდით, ოსიკო დაწინაურდა და გავაციცებთ დააქტრდა იმ ადგილს, სადაც მისი უნდა გამოსახულება აზრთ ყოფილიყო.

ამასობაში ჩვეც მივედით.

ცხადია, იქ არავითარი გამოსახულება არ ჩანდა.


— ახე რომ მცოდნოდა, წინასწარ მაინც მოვიდოდი და დახებავდი, — იხუმრა ჯანაიკომ.

ჩვენ კიდევ ცოტა ხანს ვიდექით ადგილზე და რადგანაც უშვე აზრი აღარ ჰქონდა იქ ყოფნას, დაბრუნება გადავწყვიტეთ.

ჩამავალდა მზემ ღრუბლებქვემოდან გამოიქყიტა და უცნაური ყვითელი ფერით შეამკო მთაგორები.

— მას რატომღაც მკვდარა მზეს უწოდებენ, — თქვა ოსიკომ, უნებურად ისევ შეხედა კლდეს და მოულოდნელად იყვარა:

— ამას შეხედეთ!



ერთფეროვანი შესახედობა ჰქონდა, იქ ვერავითარ განმარტებას ვერ შეამჩნევდით. ჩვენ, ცხადია, მაშინვე ვიცით და ფანქრით მისი კონტურები მოვხაზეთ.

— მერე?

— მერე რა! ესაა ხულ. ახლა ვაპირებთ იმ ფრაილ კლდის ზედაპირის დაწვრილებით გამოკვლევას. უნდა წავიდეთ ისევ, წავიღოთ თოკის კიბეები და შევუდგეთ ძივებს, ოსიკო ფიქრებს, რომ შესაძლებელია ამ კლდეშია ის გამოკვებული, მაგრამ შესასვლელი, ალბათ, ამოქოვდელი აქვს და შორიდან არ მოჩანსო.

— ეგ ადვილი შესაძლებელია.

— ამიტომ ოსიკომ შემოგითვალა, მამაკით, თვითონ მერე ვერ ჩამოვედი, და თუ გასურს შენც მიიღო მონაწილეობა, აუცილებლად წამოიღო.

— აუცილებლად წამოვალ.—თქვა მერემ,—თქვენ როდის მიდისართ?

— მე მგონია ზეგ წავალთ.

— დედა, ჩვენც მოვდივართ ხომ? — იკითხა ცილამ და დედამის მუდარით აღხავე თვალებით შეხედა.

— მეც, მეც! — აშკრა თავის უფროს დას ლექსო.

— მე-ე-ე-ე-ც! — დაშკრა კვერი ოთარმა.

— ჩუმად იყავით! — შეუტია შეილებს მერემ.—თქვენ თუ ფეხებში არ გამოგვებლანდეთ, ისე არ შეიძლება. თქვენ აქ სახლში იქნებით და არსადაც არ წახვალთ.

თითქოს სამთავესათვის დირიჟორს ხელის ერთი აქნევით ენიშნებინოსო. და-ძმამ ისეთი ტირილის და ზუსტუნის კონცერტი გამართა, ყურთასმენა აღარ იყო.

— მოიცათ, გერ არსად არ მივდივართ, ზეგამდე დიდი დროა, — სცადა მერემ ბავშვების დამშვიდება, მაგრამ ამაზე მათ უფრო აუწიეს სმას.

საჭირო იყო ჩემი ჩარევა საქმეში, თორემ ვატყობდი, დედაშვილთა მორიგება უფრო გაანელდებოდა.

— დაცით, ბავშვებო, დაცით. მე პირიბას გააძლეეთ, რომ თუ წვიმა ან ქარიშხალი არ იქნა, აუცილებლად წავიყვანა.

ამ დაპირებამ ოდნავ შეანელა მათი საკონცერტო შესრულების სიანობა და იგი ფორტისიმოდან პიანოზე გადაიყვანა.

— თუ წვიმა იქნა? — მკითხა ცილამ და ცრემლიანი თვალები შემომანათა.

— მაშინ ვერც დედათქვენც წამოვა და ვერც ჩვენ წავალთ.

ამან გასაოცარი დამამშვიდებელი გავლენა იქონია ბავშვებზე და ისინი მაშინვე გაჩუმდნენ.

დღერფანში რომ გამოვდიოდით მერემ ყურში წამჩურჩულე:

— ხვალ აუცილებლად მოდი და ბავშვებთან მითხარო, რომ ჩვენი ექსპედიცია ერთი კვირით გადაიდო, თორემ ახლა მაგათ ვერ წამოვიყვან. ხვალ საღამოს ყველას დედაჩემს მივგვრი და იქ დაგტოვებ, ჩვენ კი ზეგ ერთად გავემგზავრებით.

კიდევ კარგი რომ ეს ბავშვებს არ ესმოდათ, თორემ კონცერტის მეორე განყოფილება გაიმართებოდა.

მეორე დღეს მე დილიდან საღამომდე საქსპედიცია საქურჯვის მომზადებით ვიყავი გართული. თოკის კიბეები დაწინაურებული აღმოჩნდა და საჭირო იყო მათი შეკეთება. ალბიური თოკებიც არ გვქონდა სათანადო რაოდენობით. დამატებით საჭირო გახდა მათი შეძენა. იქ, გარდა ამისა, ჩვეულებრივი ალბიური ფესხაცმელიც არ გამოვკვადებოდა. გაცილებით უკეთესი იყო, ახალი, სამკაპებით მოჭედული და-

მოვიხიედეთ და კლდეზე აშკარად დავინახეთ დაქიმული მშვილდ-ისრის გამოსახულება და ორი ასო „მ“ და „შ“.

\* \* \*

— მერე, მერე? — მოუთმენლად მომაძახა მერემ. მისი სამივე ბავშვი პირდაღებული შემომცქეროდა.

— მერე რა, — განვარტე მე დაწვებული თხრობა, — შევცქეროდი ამ გამოსახულებას კლდეზე და ცხადი ხდებოდა ჩემთვის, თუ რატომ ისახებოდა ხანგამოშვებით ეს გამოსახულება. კლდე სამხრეთით იყო, ხოლო დასავლეთით ჩამავალი მზის სხივები კლდეზე მკვეთრ სინათლესა და ჩრდილების კონტურებს ქმნიდნენ.

— თუ ეს გამოსახულება ამოჭრილი იყო კლდეზე, რატომ მანამდე არ ჩანდა იგი? — მკითხა მერემ.

— საქმე ისაა, რომ პირდაპირი განათების დროს მისი გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. დროთა განმავლობაში კლდის ზედაპირი თანაბრად გამოფიტულიყო და იმდენად

ბალუქლიანი ჩიქმები, ამასაც მოწმადება ჭირდებოდა, და ხალხობა, როდესაც გამახსენდა, რომ მერისთანაც უნდა მივსულიყავი, ისე ვიყავი დადღობილი, — ლახლახი გამოქონდა. ტელეფონით დავურეკე, ბოლდში მოვიხადე, რამე ვეძარე მივიდოდი და ვთხოვე გამამზავებოდა მზად დამხვედროდა.

ჩვენთან ახლა ჯანაყოს გარდა არქელოგების მთელი ჯგუფი მთლიანად პროფესორ გვი ჯორჯიაშვილის მეთაურობით.

დილით, როდესაც მერის გავფარეთ, ავტობუსი უკვე სახე იყო ტექნიციის მონაწილეებით და საქმედიცოცო საჭურველით.

— რომ იცოდეთ, როგორ გამოიჭირდა ბავშვების გატყუება დედაჩემთან, — მითხრა მერიმ, — პირდაპირ შემოიკლეს ხელში. მერი პროფესორის გვერდით დჯჯდა და ჩვენი ავტობუსი გაუდგა გზას.

